ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 151

ქალაქი ქუთაისი 21 მაისი 2019 წელი

„თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ქონების აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის 2013 წლის 17 სექტემბერს ჩატარებული პირობებით აუქციონის შედეგების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 სექტემბრის №1184 ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

2013 წლის 25 სექტემბერს გაფორმებული ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების №40 აღნაგობის ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 და 7.3 პუნქტების, წერილობითი გაფრთხილებების (20.06.2014 წელი, №01-4518; 05.02.2015 წელი, №01-691; 12.02.2016 წელი, №01/3326; 08.02.2017 წელი, №01/3070; 14.12.2017 წელი, №01/27344; 18.01.2018 წელი, №10-021801824; 02.07.2018 წელი, №10-021818330; 16.08.2018 წელი, №10-021822813; 03.12.2018 წელი, №10-021833784), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის 29.01.2019 წლის №10-021902915 მომართვისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. გამოცხადდეს ძალადაკარგულად „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ქონების აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის 2013 წლის 17 სექტემბერს ჩატარებული პირობებით აუქციონის შედეგების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 სექტემბრის №1184 ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტი.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ქონების აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის 2013 წლის 17 სექტემბერს ჩატარებული პირობებით აუქციონის შედეგების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 სექტემბრის №1184 ბრძანების საფუძველზე 2013 წლის 25 სექტემბერს გაფორმებული ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების №40 აღნაგობის ხელშეკრულების გაუქმებასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია